ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3819783

ნომერი: AR1541394

თარიღი : 18.09.2017

გაცემის თარიღი : 12.02.2018

გაცნობის თარიღი : 12.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკოლოზ ყიფშიძე , N 2გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამაზი ხვედელიძე პ/ნ 62006053243
- ქ.თბილისი ფალიაშვილის 62ა ბინა 15ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 18 სექტემბრის AR1541394 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნიკოლოზ ყიფშიძის N2გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.14.14.002.101) მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან საკითხი ეხება გაჩერებულ მშენებლობას, საკითხის განსახილველად საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა მშენებარე შენობა–ნაგებობის მდგრადობის თაობაზე დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ. იმ შემთხვევაში თუ საექსპერტო დასკვნის საფუძველზე საჭირო გახდება მშენებარე ობიექტზე გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების სამუშაოების აღწერილობა და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული სქემები.

ამასთან ვინაიდან მშენებლობის პროცესში განხორციელდა ყიფშიძის ქუჩის მხარეს არსებული ფერდის ჩამოშლა, საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიის და აღნიშნული ფერდის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის საექსპერტო დასკვნა დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ–1) არსებული მდგომარეობით შეადგენს კ–1=0.9, ვინაიდან აღნიშნული პარამეტრის მინიჭების საფუძველი სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციით ვერ დგინდება, საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის კ1=0.9 მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამასთან განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ–2) მატების დასაბუთებაში დამატებით უნდა წარმოადგინოთ ჩატარებული და ჩასატარებელი სამუშაოების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 18 სექტემბრის AR1541394 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.